სამოქალაქო იდეა

სტრატეგიული პარტნიორობიდან დღემდე:

ჩინეთის ექსპანსია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

2026

სარჩევი

რბილი ძალის ჩინური მოდელი 2

კვლევის ძირითადი მიგნებები 4

სინო-ქართული საგანმანათლებლო ურთიერთობები 5

ჩინური ენის სწავლება საქართველოში 8

ჩინური ენა ქართულ სკოლებში 8

ჩინური ენის ხიდის კონკურსი 11

Huawei ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 12

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა 14

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 14
- ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი (ყოფილი „ქუთაისის უნივერსიტეტი“) 16
- ალტე უნივერსიტეტი 17
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) 18
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 19
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 21
- საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (GIU) 22
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი 25

საქართველოს სხვა უნივერსიტეტების კავშირები ჩინეთთთან 27

- 1. სტიპენდიები და გაცვლითი პროგრამები 27
- 2. საზაფხულო სკოლები და ბანაკები 28
- 3. თანამშრომლობის მემორანდუმები და შეთანხმებები 28
- 4. აკადემიური კავშირები 29

დასკვნა 29

დანართი #2: კვლევის მეთოდოლოგია 31

დანართი #3: თბილისის სკოლები, სადაც ჩინური ენა ისწავლება 32

სტრატეგიული პარტნიორობიდან დღემდე:

ჩინეთის ექსპანსია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

„ახალგაზრდა თაობაში ჩინური ენის სწავლა სულ **უფრო პოპულარული ხდება.** ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩინური ენა სკოლებში მეორე ენა გავხადოთ. წელს დედაქალაქის ცხრა სკოლაში ჩინური ენის გაკვეთილები დავიწყეთ. ჩვენ ვხედავთ, რომ **მოთხოვნა იზრდება**. ჩემს ქვეყანაში, მშობლიური ქართული ენის შემდეგ, ყველაზე პოპულარული ენა ინგლისურია. ჩვენ მიზნად ვისახავთ და ვგეგმავთ, რომ მომდევნო წლებში, ჩვენი ჩინელი პარტნიორების და მეგობრების მხარდაჭერით, **ჩინურმა ენამ პოპულარობის მხრივ ინგლისურის დონეს მიაღწიოს.** ეს [ჩინური ენა] არის წვდომა მსოფლიოს უზარმაზარ ნაწილზე, მოსახლეობის დიდ ნაწილზე და იმ მასშტაბურ განვითარებაზე, რომელსაც ჩინეთში ვხედავთ. საწყის ეტაპზე, რა თქმა უნდა, ჩინური ენის ცოდნა ქვეყნებს შორის ხიდებს ქმნის... ამას მოჰყვება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - ნდობის ჩამოყალიბება. **ჩნდება ერთმანეთის მიმართ ნდობა, რაც ახალ და მომავალ თაობებს აძლევს შესაძლებლობას, კავშირები დაამყარონ, ითანამშრომლონ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივ ძალად გამოვიდნენ, გარკვეული პოლიტიკური ინტერესები ერთად წარმოადგინონ, რაც, რა თქმა უნდა, ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის.“**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, გივი მიქანაძის განცხადება. ჩინურ მედია “China Daily”-სთან. 15.11.2025

რბილი ძალის ჩინური მოდელი

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, დიდი სახელმწიფოების მიერ პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე გავლენის დამყარების ერთ-ერთ წამყვან სტრატეგიას რბილი ძალა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ერთ-ერთი მზარდი აქტორია. საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციის, Brand Finance-ის 2026 წლის „რბილი ძალის გლობალური ინდექსის“ (Global Soft Power Index) მიხედვით, ჩინეთი, რბილი ძალის ოპერაციებით, გაეროს წევრ ქვეყნებს შორის მე-2 ადგილს იკავებს. Brand Finance-ის შეფასებით, ჩინეთის რბილი ძალის ინდექსი (73.5/100) მცირედით ჩამორჩება ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ მაჩვენებელს (74.9/100).

ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის“ კონცეფცია გულისხმობს „ძალის მეორე სახეს“, რომელიც ეფუძნება არა იძულებას, არამედ **სხვა სახელმწიფოს კეთილგანწყობის მოპოვებასა და ამ გზით მის გავლენას სასურველი შედეგის მისაღწევად.** უფრო კონკრეტულად, რბილი ძალის მიზანია, სამიზნე ქვეყნის საზოგადოებაში დადებითი იმიჯის ფორმირება. ამ თვალსაზრისით, რბილი ძალა მოიცავს სამ ძირითად ასპექტს:

- კულტურული მიმზიდველობა;
- პოლიტიკური ღირებულებების მიმზიდველობა;
- საგარეო პოლიტიკის მიმზიდველობა.

ამერიკული „რბილი ძალის“ მოდელისგან განსხვავებით, რომელიც ლიბერალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ღირებულებებს ეფუძნება, „რბილი ძალის“ ჩინეთის მოდელი ეყრდნობა მისი „ბრწყინვალების“ კონცეფციას. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხედვაში, ეს „ბრწყინვალება“ ძირითადად განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უნიკალური მოდელით, რომელიც საერთაშორისო სივრცეში მის მიმზიდველობას ზრდის. ჯოზეფ ნაის შეფასებით, ჩინეთის „რბილი ძალის“ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მექანიზმს საგანმანათლებლო ინიციატივები წარმოადგენს, კერძოდ:

1. კონფუცის ინსტიტუტები, რომლებიც ჩინეთის ენების სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრის მიერ იმართება და ჩინური კულტურისა და ენის პოპულარიზაციას ემსახურება.

2. „სამეცნიერო დიპლომატია“ ,რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტუდენტებისთვის განკუთვნილ სამთავრობო სტიპენდიებს, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას, ერთობლივ სამეცნიერო ინიციატივებსა და გაცვლით პროგრამებს, ასევე სხვა საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებს.

გლობალურ სამხრეთში, მათ შორის საქართველოში, ჩინეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკა ინტენსიური საგანმანათლებლო ჩართულობით გამოირჩევა. სახალხო რესპუბლიკის გავლენა ვლინდება როგორც კონფუცის ინსტიტუტების საქმიანობით, ისე ე.წ. „სამეცნიერო დიპლომატიის“ ფარგლებში განხორციელებული ინიციატივებით.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

„სამოქალაქო იდეას“ კვლევის[1] შედეგად დადგინდა, რომ 2024-2025 წლებში:

- ქართულ და ჩინურ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შესახებ 9 მემორანდუმი/ შეთანხმება გაფორმდა;
- საქართველოს უნივერსიტეტებს ორმხრივი ურთიერთობების დამყარებისა და თანამ-შრომლობის განვითარების მიზნით ჩინეთის 12 საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ესტუმრნენ;
- ქართულმა უნივერსიტეტებმა შეთანხმებები გააფორმეს შემდეგ ჩინურ კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან: Huawei, Zhogge Cultural Development, სარტყლისა და გზის საქართველოს ბიზნეს სახლი, Guagzou Dajiang E-Commerce Co Ltd;
- Huawei-სთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, კომპანია საქართველოში პირველ საინფორმაციო ტექნოლოგიების (ICT) აკადემიას გახსნის და ქართულ სკოლებში „სმარტ კლასებს“ მოაწყობს;
- ქართველმა სტუდენტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა Huawei-ს საგანმანათლებლო ინიციატივაში: Seeds for the future;
- საქართველოში ჩინეთის საელჩო აქტიურად უწყობს ხელს საგანმანათლებლო თანამშრომლობასა და ჩინური ენის პოპულარიზაციას. ქართულ უნივერსიტეტებსა და ჩინეთის საელჩოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებები;
- 2024 და 2025 წლებში, ქართველი სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ჩინური ენის კონკურსი, „ჩინეთის ხიდი“;
- ქართველმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ჩინეთში საზაფხულო სკოლებსა და ახალგაზრდულ ბანაკებში;
- ჩინური ენა ისწავლება თბილისში მოქმედ 15 სკოლაში;
- ჩინეთის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტი გაიხსნება.

1. კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-2 დანართში.

სინო-ქართული საგანმანათლებლო ურთიერთობები

საქართველოში ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციები სწორედ საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობის ინიციატივებით დაიწყო. ქვეყანაში პირველი კონფუცის ინსტიტუტი 2010 წელს დაფუძნდა. ამასთან, 2001 წლის 13 აპრილს, განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ჩინეთის მთავრობის სტიპენდიები, რომლის მეშვეობითაც ყოველწლიურად სულ მცირე 20 სტუდენტი აგრძელებს სწავლას ჩინეთში.

2023 წელს საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადებით, სინო-ქართული საგანმანათლებლო ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განათლების სფეროში (**იხ. დანართი #1**).

დანართი #1:

სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ საქართველო-ჩინეთის ერთობლივი განცხადება მოიცავს „ხალხთა შორისი და კულტურული ურთიერთობის“ განზომილებას. აღნიშნული განზომილება შემდეგ პუნქტებს მოიცავს:

3.1. ახალ პირობებში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საჭიროების გათვალისწინებით, მხარეები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად აწარმოონ სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობა, განაახლონ შეთანხმება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1993 წელს იქნა ხელმოწერილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის.

3.2. ხალხთა შორის კავშირებისა და კულტურული ურთიერთობების სფეროში მეგობრული დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ კულტურული თანამშრომლობა. წახალისდება ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის ვიზიტები, გაძლიერდება თანამშრომლობა ტურიზმის, ჯანდაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით. ამასთანავე, გაძლიერდება ურთიერთობები კინემატოგრაფიის, პრესის და საჯარო დიპლომატიის სფეროებში.

3.3. მხარეები შეისწავლიან ჩინეთისა და საქართველოს კულტურის წლების აღნიშვნის შესაძლებლობას და გააგრძელებენ კონსულტაციებს კულტურული ცენტრების დასაარსებლად, რასაც შესაბამისი ხელშეწყობა ექნება.

3.4. მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროებში. განხორციელდება პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების გაცვლითი პროგრამები, გაძლიერდება თანამშრომლობა მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სფეროში, განხორციელდება ერთობლივი პროექტები.

3.5. მხარეები ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს ერთობლივი სასწავლო პროგრამების მსგავსი პრაქტიკული თანამშრომლობის განხორციელებას; წახალისდება უნივერსიტეტების მიერ მაღალი ხარისხის ციფრული საგანმანათლებლო რესურსების სრული გამოყენება და მათი გათვალისწინება თანამშრომლობის ონლაინ და ოფლაინ ფორმატებში. მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტების ურთიერთ-გაცვლას და ერთობლივ განვითარებას, სამთავრობო სასტიპენდიო ინსტრუმენტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

3.6. მხარეები მნიშვნელობას ანიჭებენ ენების შესწავლის მიზნით გაცვლისა და თანამშრომლობის პროგრამებს, წაახალისებენ ორივე ქვეყნის სკოლებს ჩინური და ქართული ენების შესწავლისკენ; მზაობას გამოთქვამენ ენის პედაგოგების გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და გადამზადებისთვის; მხარს უჭერენ კონფუცის ინსტიტუტების (საკლასო ოთახების) განვითარებას.

2024-2025 წლებში, საქართველოს განათლების სამინისტროსა და ჩინეთის განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობამ თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაინაცვლა. თანამშრომლობის დინამიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ინტენსიური აღმოჩნდა 2025 წელი. კერძოდ, მხოლოდ 2025 წელს,

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრსა და საქართველოში ჩინეთის ელჩს შორის 3 შეხვედრა გაიმართა;
- გაფორმდა შეთანხმება ჩინეთის განათლების სამინისტროსთან;
- განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა 3 ოფიციალური ვიზიტი გამართეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სინო-ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო თანამშრომლობის ქრონოლოგია (2024-2025 წწ):

2024 - 11 აპრილი	საქართველოს განათლების მინისტრი, გიორგი ამილახვარი საქართველოში ჩინეთის ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ზოგადი განათლების საფეხურზე ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და ჩინური ენის სწავლების ხელ-შეწყობის მიზნით საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების საკითხები;
2025 - 7 თებერვალი	საქართველოს განათლების მინისტრი, ალექსანდრე წულაძე ჩინეთის ელჩს შეხვდა. მხარეებმა იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებულ თანამშრომლობაზე და მისი გაძლიერების პერსპექტივებზე;
2025 - 22 მარტი	განათლების მინისტრი ალექსანდრე წულაძე ჩინეთის ელჩს შეხვდა. მხარეებმა ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ერთობლივი საგანმა-ნათლებლო პროექტები და სამომავლო გეგმები განიხილეს;
2025 - 16 აპრილი	„ზოგადი განათლების ახალი ხედვის“ წარდგენისას განათლების მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ განაცხადა: „დამტკიცდება ჩინურის, როგორც მეორე უცხო ენის სტანდარტი და დაიწყება ჩინური ენის შემსწავლელი საგანმანათლებლო რესურსების განვითარება.“;
2025 - 28 მაისი	საქართველოს განათლების სამინისტროსა და ჩინეთის განათლების სამინისტროს შორის გაფორმდა შეთანხმება „უმაღლესი განათლების ხარისხებისა და სერტიფიკატების ორმხრივი აღიარების შესახებ.“;
2028 - 28 მაისი	განათლების მინისტრმა, ალექსანდრე წულაძემ ჩინეთში გამართულ „მსოფლიო ციფრული განათლების კონფერენციაში“ მიიღო მონაწილეობა;

2025 - 28 მაისი	განათლების მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ შეხვედრები გამართა პეკინის ენისა და კულტურის, ასევე უცხო ენათა უნივერსიტეტების, ენის, განათლებისა და თანამშრომლობის ცენტრისა და ორგანიზაცია Huawei-ის წარმომადგენლებთან;
2025 - 19 ივნისი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ანა მღებრიშვილმა მონაწილეობა მიიღო ჩინეთის ქ. ჩენგტუში გამართულ მინისტერიალზე - „ერთი სარტყელი, ერთი გზა.“ ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მღებრიშვილი შეხვდა ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილეს, ლინ შინს;
2025 - 14-16 ნოემბერი	საქართველოს განათლების მინისტრმა გივი მიქანაძემ მონაწილეობა მიიღო პეკინში გამართულ „ჩინური ენის მსოფლიო კონფერენციაში.“;
2025 - 14 ნოემბერი	საქართველოს განათლების მინისტრი გივი მიქანაძე ჩინეთის განათლების მინისტრ ჰუაი ძინფენგს შეხვდა;
2025 - 15 ნოემბერი	საქართველოს განათლების მინისტრი გივი მიქანაძე ჩინეთის განათლების მინისტრის მოადგილეს, ჟენ იოუცუნს შეხვდა. მხარეებმა თანამშრომლობის გაფართოების გზები და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტები განიხილეს;
2028 - 18 ნოემბერი	განათლების მინისტრი გივი მიქანაძე ნანჯინგის სარკინიგზო ტექნოლოგიების პროფესიულ ინსტიტუტს ეწვია, სადაც განიხილეს ნანჯინგის ინსტიტუტსა და საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები;
2025 - 19 ნოემბერი	საქართველოს განათლების მინისტრი გივი მიქანაძე კომპანია Huawei-ის ვიცე პრეზიდენტს, ჟანგ ჩენგ ტაოს შეხვდა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა Huawei-ს მიერ საქართველოს სკოლებში სმარტ კლასების მოწყობაზე.
2025- 25 ნოემბერი	საქართველოს განათლების მინისტრი გივი მიქანაძე საქართველოში ჩინეთის ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა. მხარეებმა სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების და ერთობლივი საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების საკითხები განიხილეს.
2025 - 2 დეკემბერი	საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე ბაია კვიციანი ჰუბეის განათლების უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ჰუბეის უნივერსიტეტსა და ქართულ უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

წარმოდგენილი ქრონოლოგია ნათლად აჩვენებს, რომ საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადების შემდეგ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აქტიურად აძლიერებს ჩინეთთან საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობას. შედეგად, 2024-2025 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ოფიციალურ პირთა დიპლომატიური ვიზიტების რაოდენობა და გაფორმდა ახალი შეთანხმებები, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში ჩინური ენის სწავლების ინტენსიფიკაციას და ორი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

ჩინური ენის სწავლება საქართველოში

ჩინური ენა ქართულ სკოლებში

სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ განცხადების პარალელურად, 2023 წლის 31 ივლისს პეკინში, საქართველოს განათლების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩინური ენის ერთობლივი სწავლების შესახებ“. მემორანდუმი განსაზღვრავს იმ კონკრეტულ მიმართულებებსა და ღონისძიებებს, რომელსაც მხარეები საქართველოში ჩინური ენის პოპულარიზაციისთვის განახორციელებენ. პროგრამა ითვალისწინებს ჩინური ენის სწავლების ხელშეწყობას როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მემორანდუმის თანახმად,

- ჩინეთის მხარე საქართველოს გაუგზავნის ჩინელ მასწავლებლებს, რათა ხელი შეუწყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავების კოორდინაციასა და მხარდაჭერას.
- ჩინეთის მხარე ასევე უზრუნველყოფს ჩინური ენის მასწავლებლებისა და მოხალისეების გაგზავნას საქართველოში, ან, დაეხმარება ქართულ მხარეს ჩინეთში ჩინური ენის მასწავლებლების შერჩევის პროცესში.
- მხარეები წაახალისებენ საქართველოში მოქმედ „კვალიფიციურ უნივერსიტეტებს, რათა შექმნან ჩინური ენის სწავლების განყოფილებები“ და „სასწავლო პროგრამები ან კურსები“, ასევე გააძლიერონ სტუდენტებისა და ახალგაზრდა მასწავლებლების გაგზავნა ჩინეთში სასწავლებლად.
- ორი ქვეყნის ექსპერტები ითანამშრომლებენ სახელმძღვანელოებისა და დამატებითი სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში.
- მხარეები წაახალისებენ საქართველოს სტუდენტების მონაწილეობას ჩინური ენის ცოდნის კონკურსებში, როგორიცაა „ჩინეთის ხიდი“ და ხელს შეუწყობენ ჩინური ენის ცოდნის ტესტების (HSK, CTCSOL) ჩატარებას.
- ჩინეთის მხარე ქართველ სტუდენტებს შესთავაზებს „ჩინეთის ხიდის“ ფარგლებში ორგანიზებულ საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობას და ჩინური ენის მასწავლებლის სტიპენდიებს.
- ჩინეთის მხარე პასუხისმგებელია ჩინელი პერსონალის ანაზღაურებაზე, დანამატებსა და საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებზე, ხოლო საქართველოს მხარე, უზრუნველყოფს მათ ჯანმრთელობის დაზღვევით, სამუშაო სივრცითა და ინვენტარით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის იმპლემენტაციის ეტაპების და შედეგების შესახებ ოფიციალური უწყებები ანგარიშებს არ აქვეყნებენ, ღია წყაროები მიუთითებს, რომ საქართველოში ჩინური ენის სწავლების პროცესში ჩინელი მასწავლებლებიც არიან ჩართულნი. მაგალითად, 2025 წლის 8 ივლისს, თბილისის 102-ე საჯარო სკოლამ გაავრცელა ვიდეო, რომელშიც სკოლის წარმომადგენლები ჩინური ენის მასწავლებელ, მენ კონგს ემშვიდობებიან (იხ. ფოტო).

2025 წლის 26 თებერვალს, კერძო სკოლა „მწვანე სკოლამ“ Facebook გვერდზე გაავრცელა ვიდეო, რომელიც სკოლაში ჩინური ენის სწავლების პროცესს ეძღვნებოდა. ამავე ვიდეოში ფიგურირებდა ლიოუ მენჩუნი, სკოლის ჩინური ენის მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ქართულ სკოლებში პირველი უცხოური ენა არის ინგლისური ენა, რომელიც პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით ისწავლება. მეორე უცხო ენის სწავლება იწყება მე-5 კლასიდან და მოიცავს ისეთ ენებს, როგორიცაა ფრანგული, გერმანული, იტალიური, თურქული, რუსული და სხვა. მეორე უცხო ენას მოსწავლე/მშობელი სურვილის მიხედვით ირჩევს.

განათლების სამინისტროს 2025 წლის განცხადების თანახმად, „ზოგადი განათლების ახალი ხედვის“ ფარგლებში, იგეგმება ჩინური ენის, როგორც მეორე უცხო ენის სტანდარტის დამტკიცება. შესაბამისად, სკოლები, რომლებიც ფლობენ შესაბამის რესურსებს, მოსწავლეებს მე-5 კლასიდან შესთავაზებენ ჩინური ენის გაკვეთილებს.

ჩინური ენის კურსები თბილისის რიგ სკოლებში უკვე ხელმისაწვდომია. კერძოდ, 2024-2025 წლებში, ჩინური ენის გაკვეთილები ტარდებოდა 15 სკოლაში, მათ შორის 4 კერძო და 11 საჯარო სკოლაში. [2]

საყურადღებოა, რომ საქართველოში ჩინური ენის პოპულარიზაციის „გულმხურვალე“ მხარდამჭერი არიან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომლებიც ხშირად საუბრობენ ჩინური ენის სწავლების მნიშვნელობაზე. 2025 წლის 15 ნოემბერს, ჩინეთის ენების სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრმა ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე, გამოაქვეყნა საქართველოს განათლების მინისტრთან, გივი მიქანაძესთან ჩაწერილი ინტერვიუ. აღნიშნულ პერიოდში მინისტრი მიქანაძე სახალხო რესპუბლიკაში ჩინური ენის კონფერენციას ესწრებოდა. მინისტრმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოში ჩინური ენის პოპულარობა იზრდება. ასევე, მისი განცხადებით, **„ქართული ოცნების“ გრძელვადიანი გეგმა ჩინური ენის სწავლების მიმართულებით მიზნად ისახავს ჩინური ენის ინგლისური ენის თანაბარ სტატუსამდე დაყვანას:**

> „ახალგაზრდა თაობაში ჩინური ენის სწავლა **სულ უფრო პოპულარული ხდება.** ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩინური ენა სკოლებში მეორე ენა გავხადოთ. წელს დედაქალაქის ცხრა სკოლაში ჩინური ენის გაკვეთილები დავიწყეთ. ჩვენ ვხედავთ, რომ **მოთხოვნა იზრდება.** ჩემს ქვეყანაში, მშობლიური ქართული ენის შემდეგ, ყველაზე პოპულარული ენა ინგლისურია. ჩვენ მიზნად ვისახავთ და ვგეგმავთ, რომ მომდევნო წლებში, ჩვენი ჩინელი პარტნიორების და მეგობრების მხარდაჭერით, ჩინურმა ენამ **პოპულარობის მხრივ ინგლისურის დონეს მიაღწიოს.** ეს [ჩინური ენა] არის წვდომა მსოფლიოს უზარმაზარ ნაწილზე, მოსახლეობის დიდ ნაწილზე და იმ მასშტაბურ განვითარებაზე, რომელსაც ჩინეთში ვხედავთ. საწყის ეტაპზე, რა თქმა უნდა, ჩინური ენის ცოდნა ქვეყნებს შორის ხიდებს ქმნის... ამას მოჰყვება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - ნდობის ჩამოყალიბება. **ჩნდება ერთმანეთის მიმართ ნდობა, რაც ახალ და მომავალ თაობებს აძლევს შესაძლებლობას, კავშირები დაამყარონ, ითანამშრომლონ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივ ძალად გამოვიდნენ, გარკვეული პოლიტიკური ინტერესები ერთად წარმოადგინონ, რაც, რა თქმა უნდა, ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის.“**

გივი მიქანაძის განცხადება ნათლად მიანიშნებს ჩინეთის “რბილი ძალის” პოლიტიკასა და „ქართული ოცნების“ საგარეო-პოლიტიკურ ხედვებს შორის არსებულ კავშირზე. მინისტრის სიტყვები მოწმობს, რომ მოქმედი ხელისუფლება ჩინური ენის პოპულარიზაციას განიხილავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ ფართო პოლიტიკურ კონტექსტში, მათ შორის ჩინეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების ინსტრუმენტად. ამასთანავე, მინისტრი მიქანაძე დაუფარავად აღნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ სურს, საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთის მოკავშირე კომუნისტურ რეჟიმთან/ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, როგორც ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოსთან ერთად, „ერთობლივი ძალით“ იმოქმედოს.

„ქართული ოცნების“ მინისტრის განცხადება ასახავს იმ რისკებს, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს ანტი-დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსისა და ავტორიტარულ რეჟიმებთან დაახლოების კომბინაციას. ჩინური ენის სწავლება თავისთავად ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის გამოწვევას არ წარმოადგენს. თუმცა, მისი ინგლისური ენის საპირწონედ წარმოჩენა მიუთითებს, რომ საქართველოში ჩინური ენის სწავლების პოპულარიზაცია სცილდება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებს და „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ამოცანებს უკავშირდება.

---

2. აღნიშნული სკოლების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მე-3 დანართი.

ჩინური ენის „ჩინეთის ხიდის“ კონკურსი

საქართველოში ახალგაზრდებში ჩინური ენისადმი ინტერესის გაღვივების კიდევ ერთი საშუალება ენის საერთაშორისო კონკურსებია. 2023 წელს, საქართველოსა და ჩინეთს შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მხარეები ქართველ სტუდენტებს წაახალისებენ მონაწილეობა მიიღონ „ჩინეთის ხიდის“ (Chinese Bridge) კონკურსში. „ჩინეთის ხიდი“ ჩინეთის ენების სწავლების და თანამშრომლობის ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ენის კონკურსია, რომელიც 2002 წლიდან ტარდება.

კონკურსი მოიცავს როგორც ჩინური ენის ცოდნის, ისე ჩინეთის შესახებ ზოგადი ინფორმაციის, კულტურისა და ხელოვნების (მათ შორის, ჩინური სიმღერების, ცეკვისა და სხვა შემოქმედებითი ნომრების, უნარების) დემონსტრირებას. კონკურსი ორ ეტაპიანია: საწყის ეტაპზე გამარჯვებულები გამოვლინდებიან ეროვნული შერჩევის საფუძველზე, ხოლო შემდგომში, წარმატებული კანდიდატები საკუთარ ქვეყანას წარადგენენ ჩინეთში გამართულ ფინალურ ეტაპზე. საბოლოოდ, გამარჯვებულებს ენიჭებათ სტიპენდიები და ეძლევათ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ ჩინეთში.

საქართველოში „ჩინეთის ხიდის“ კონკურსი 2010 წლიდან ტარდება. საწყის ეტაპზე მისი ორგანიზება ხორციელდებოდა თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტისა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს მიერ. ბოლო წლებში კი, კონკურსის შესარჩევი ეტაპი ასევე ტარდება „ალტე უნივერსიტეტის“ კონფუცის ინსტიტუტშიც.

2024 წლის 11 ივნისს თავისუფალ უნივერსიტეტში გაიმართა „ჩინეთის ხიდის“ 23-ე კონკურსის ეროვნული შესარჩევი ტური. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში ჩინეთის ელჩი ჭოუ ციენი, ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები, თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის წარმომადგენელი, ასევე ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის (China Road & Bridge Corporation) და სხვა ჩინური კომპანიების წარმომადგენლები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები. კონკურსში მონაწილეობდნენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები.

აღსანიშნავია, რომ „ჩინეთის ხიდის“ კონკურსების თემატიკა ხშირად ეხმიანება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელ ნარატივებს. მაგალითად, 2024 წლის კონკურსის მთავარი თემა იყო „ერთი მსოფლიო, ერთი ოჯახი.“ კონკურსის გამარჯვებული გახდა თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც საქართველო წარადგინა ჩინეთში გამართულ ფინალურ ეტაპზე.

2025 წლის 31 მაისიდან 1 ივნისამდე, კონკურსის ეროვნული ფინალური ეტაპი ალტე უნივერსიტეტში გაიმართა. მასში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 16 სტუდენტი. კონკურსანტებმა გაიარეს ენის ტესტები, წარადგინეს პრეზენტაციები და ჩინური კულტურის ამსახველი ნამუშევრები. კონკურსის გამარჯვებული გახდა ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის კლასის მოსწავლე აჩი კანდელაკი, რომელმაც 2025 წლის ოქტომბერში ჩინეთში გამართულ ფინალურ ეტაპზე მიიღო მონაწილეობა. 20 დღიანი პროგრამის ფარგლებში, კანდელაკი ჩაერთო კულტურულ-შემეცნებით აქტივობებში და მოინახულა ჩინეთის ქალაქები - პეკინი და ჰენძინი. საბოლოოდ, მან კონკურსის 113 მონაწილეს შორის მე-3 ადგილი დაიკავა და მოიპოვა ექვსთვიანი სრული დაფინანსება ჩინეთის უნივერსიტეტში, რომელიც მოიცავს როგორც სწავლის, ისე ცხოვრების ხარჯებს.

HUAWEI ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

Huawei, როგორც ერთ-ერთი უმხვილესი ტექნოლოგიური კომპანია, ხშირად განიხილება ჩინეთის ე.წ. "ციფრული დიპლომატიის" აქტიურ მონაწილედ. **სი ძინპინის "ციფრული დიპლომატია" მიზნად ისახავს ჩინეთის დადებითი საერთაშორისო იმიჯის განმტკიცებასა და დასავლური ციფრული ინფრასტრუქტურის ალტერნატივის შექმნას.** 2024-2025 წლებში Huawei ქართულ საგანმანათლებლო სექტორში ერთ-ერთ აქტიურ ჩინურ კომპანიად ჩამოყალიბდა. აღნიშნულ პერიოდში კომპანიისა და ქართული საგანმანათლებლო ინსტიტუტების თანამშრომლობა რამდენიმე მიმართულებით განვითარდა:

თანამშრომლობა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან

2024 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და Huawei-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმების ფარგლებში, Huawei ჩაერთო სააგენტოს საუნივერსიტეტო კონკურსში UNI4VERSE.

UNI4VERSE წარმოადგენს სააგენტოს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებში ინოვაციური და ტექნოლოგიური პროცესების მიმართ ინტერესის გაზრდას. კონკურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტები. ინიციატივა ითვალისწინებს ყოველწლიურ კონკურსებს ქართულ უნივერსიტეტებს შორის.

2025 წლის კონკურსის ფინალური ეტაპი, რომელიც მწვანე ტექნოლოგიებს ეხებოდა, დაიწყო 27 მარტს და 4 დღის განმავლობაში გაგრძელდა. კონკურსის გამარჯვებული გახდა საქართველოს უნივერსიტეტი, რომელსაც Huawei-მ მზის პანელები გადასცა.

თანამშრომლობა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან

2025 წლის 20 თებერვალს, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა (KIU) და Huawei-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე წულაძე.

მემორანდუმის მიხედვით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიხსნება საქართველოში პირველი ჩინური კომპანიის „Huawei ICT“ აკადემია. ამასთანავე, KIU-ს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ Huawei-ის მიერ ორგანიზებულ გადამზადების პროგრამებში, საგანმანათლებლო ინიციატივებსა და საერთაშორისო პროექტებში. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს სტაჟირების შესაძლებლობებს.

საყურადღებოა, რომ 2025 წლის დეკემბერში Huawei-ის თბილისის ოფისის დირექტორი ლუ პენგჰონგი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით ეწვია. უნივერსიტეტის რექტორ ვახტანგ ცაგარელთან შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებსა და მასტერკლასებში, პროფესიული დასაქმებისა და სტაჟირების პროგრამების განვითარება, ტექნოლოგიური ლაბორატორიების შექმნა KIU-ში, აკადემიური პერსონალის გადამზადება და ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

ქართველი სტუდენტების მონაწილეობა Seeds for the Future პროგრამაში

2025 წლის 3-9 აგვისტოს, ქართველმა სტუდენტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა Huawei-ის საგანმანათლებლო პროგრამაში - Seeds for the Future. პროგრამა გაიმართა ჩინეთის ქალაქებში დუნგუანსა და შენჟენში, სადაც მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები.

Huawei-ის მიერ დაფინანსებული ერთკვირიანი კორპორატიული პროგრამის ფარგლებში, ქართველმა სტუდენტებმა ჩინეთში გაიარეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) კურსები, მოინახულეს ჰუავეის და მისი პარტნიორი კომპანიების ქარხნები, ტექნოლოგიური ლაბორატორიები და ექსპოზიციები. პროგრამა ასევე მოიცავდა კულტურულ-შემეცნებით აქტივობებსაც, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა გაცნობოდნენ ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში არსებულ კულტურულ გარემოს.

Huawei-ს „სმარტ კლასები“ ქართულ სკოლებში

2025 წლის დეკემბერში, ჩინეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათლების მინისტრი Huawei-ის ვიცე-პრეზიდენტ ჟანგ ჩენგ ტაოს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს Huawei-ის მიერ საქართველოს სკოლებში ე.წ. „სმარტ კლასების“ მოწყობის შესაძლებლობები. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის განაცხადებით, Huawei თბილისის ერთ-ერთ სკოლას უსასყიდლოდ გადასცემს „სმარტ საკლასო“ ოთახის მოსაწყობად საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას.

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა

ჩინეთის და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა მოიცავს მრავალფეროვან მიმართულებებს, მათ შორის, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს, ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს და საზაფხულო სკოლებს/ბანაკებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

წინამდებარე თავში წარმოდგენილია 2024-2025 წლებში საქართველოს უნივერსიტეტებსა და ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და მაგალითები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წლიდან ფუნქციონირებს აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულება, რომელიც ასევე მოიცავს სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. სინოლოგიის პროგრამა გარკვეულწილად ასრულებს იმ ფუნქციებს, რაც კონფუცის ინსტიტუტებისთვის არის დამახასიათებელი - ჩინური ენის და კულტურის სწავლების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. მაგალითისათვის, 2024 წლის ივნისში, თსუ-ს სინოლოგიის პროგრამის ორგანიზებით ჩატარდა „დრაკონის ნავების დღესასწაული“. ღონისძიებაზე სტუდენტებმა ჩინელი ავტორების ლექსები, საკუთარი თარგმანები, ჩინური სიმღერები, ცეკვები და ამავე თემატიკაზე შექმნილი ფერწერული ნამუშევრები წარადგინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლებიც.

საყურადღებოა, რომ ჩინეთის საელჩო სახელმწიფო უნივერსიტეტთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს. 2025 წლის სექტემბერში, თსუ-ში, ჩინეთის საელჩოსა და ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის ორგანიზებით[3], გაიმართა ორდღიანი კონფერენცია - „ჩინელი ხალხის იაპონიის აგრესიასთან ბრძოლისა და მსოფლიო ანტიფაშისტურ ომში გამარჯვების მე-80 წლისთავი“, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში ჩინეთის როლს ეძღვნებოდა.კონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები ასახავდა ღონისძიების შინაარსობრივ აქცენტებს:

„აუცილებელია ასეთი კონფერენციის გამართვა იმისათვის, რომ შევახსენოთ ხალხს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშვიდობა ჩვენი ქვეყნებისთვის. ისტორიას გავიხსენებთ როგორც გაკვეთილს და უფრო დავაფასებთ მშვიდობას.“

ჩინეთის ელჩი საქართველოში, ჭოუ ციენი

*ფოტოზე: **ბექა ნაცვლიშვილი** - ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი, მე-9 მოწვევის პარლამენტში, „ქართული ოცნების“ დეპუტატი და **ჭოუ ციენი** - ჩინეთის ელჩი საქართველოში.*

3. ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრი, 2025 წელს დააფუძნეს ბადრი ნაჭყებიამ, თორნიკე ჩივაძემ და ბექა ნაცვლიშვილმა. ნაცვლიშვილი ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოზიციას იკავებს. ორგანიზაციის სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით, მისი საქმიანობა მოიცავს „ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კულტურის, ეთიკის, ტრადიციებისა და ისტორიის აკადემიურ შესწავლასა და ანალიზს.“

„ევროპულმა და პოსტსაბჭოთა საზოგადოებამ ნაკლებად იცის იმ ომის შესახებ, რომელსაც ჩინეთი აწარმოებდა აღმოსავლეთში მეორე მსოფლიო ომში. დღევანდელი კონფერენციით ჩვენ ვცდილობთ ეს მოვლენა უფრო მეტმა ხალხმა გაიგოს.“

ბექა ნაცვლიშვილი,
ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის დირექტორი

ბექა ნაცვლიშვილი 2016-2020 წლებში მე-9 მოწვევის პარლამენტში, „ქართული ოცნების“ დეპუტატი იყო. ნაცვლიშვილმა 2016 წელს პარტიას 20 000 ლარის ოდენობის ფულადი შემოწირულობა გაუკეთა. ბოლო პერიოდში, იგი გადაცემებსა და სატელევიზიო ეთერში „ანალიტიკოსის“ რანგში გამოდის და პრო-ჩინური პოზიციებით გამოირჩევა.

2026 წლის 28 იანვარს, ტელეკომპანია მაესტროს ეთერში, გია გაჩეჩილაძის საავტორო გადაცემაში, „უცნობის კიდობანი“, ნაცვლიშვილმა განაცხადა:

„ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, ამერიკა აღარ არის მოწინავე. ჩინეთმა შეცვალა მთლიანად მსოფლიო წესრიგი. როგორც გეოპოლიტიკური, ისე ეკონომიკური წესრიგი შეცვალა ჩინეთმა.“

2024-2025 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიერა პარტნიორული ურთიერთობები ჩინეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან:

2024 წლის სექტემბერში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია შენჟენის უნივერსიტეტის დელეგაცია. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის და ერთობლივი პროგრამების შემუშავების პერსპექტივები განიხილეს. ამასთანავე, უნივერსიტეტებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით.

ამავე წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტის რექტორი, ჯაბა სამუშია შიან ჯაოტონგის უნივერსიტეტის სუჯოუს კვლევითი ცენტრის დირექტორსა და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე სამუშიამ გამოხატა ინტერესი შიან ჯაოტონგის უნივერსიტეტთან საინჟინრო მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავების მიმართ.

2025 წლის 19 ნოემბერს, ჯაბა სამუშიამ უმასპინძლა ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციას. შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს, მათ შორის, თსუ-ს შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის კვლევების მიმართულებით.

2025 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ კვლევით პროექტებს, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს, ერთობლივ სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობას. ამავდროულად, შეთანხმების ფარგლებში, პეკინის უცხო ენების უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულების სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ სწავლა გააგრძელონ თსუ-ში.

თსუ-ს სტუდენტებს, საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მსგავსად, ჩინეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ. მათ შორის არის ჩინეთის სასტიპენდიო საბჭოს 2025-2026 აკადემიური წლისთვის განკუთვნილი სასტიპენდიო კონკურსი „Youth of Excellence Scheme of China Program Chinese Government Scholarship.“

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი (ყოფილი „ქუთაისის უნივერსიტეტი“)

ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში (ძველი სახელწოდებით - „ქუთაისის უნივერსიტეტი“) 2020 წლიდან ფუნქციონირებს „კონფუცის კლასი“, რომელიც სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა. უნივერსიტეტის ინფორმაციით, კონფუცის კლასი უზრუნველყოფს ჩინური ენის კურსებს, საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლით პროექტებს, სასერტიფიკაციო ტესტების ჩატარებას, საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებას და სხვა.

აღნიშნული კონფუცის კლასის საქმიანობას ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი და სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ერთობლივად წარმართავენ. 2025 წლის 25 ნოემბერს, ონლაინ ფორმატში გაიმართა კონფუცის კლასის სამეურვეო საბჭოს მესამე სხდომა, რომელზეც წარადგინეს კონფუცის კლასის წლიური და ფინანსური ანგარიშები. უნივერსიტეტის ინფორმაციით, ორივე დოკუმენტმა აჩვენა „სტუდენტთა რაოდენობის ზრდა“. სინძიანის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის ფარგლებში, დამტკიცდა შეთანხმება „კონფუცის კლასის მართვის სფეროში თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ“.

კონფუცის კლასი აქტიურად თანამშრომლობს ქუთაისში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2023 წელს, უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ სკოლა „პროგრესს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს კონფუცის კლასის მიერ ჩინური ენის კურსების ჩატარებას სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისთვის. 2024 წლის თებერვალში, კონფუცის კლასის მონაწილეობით, კოლეჯ „იბერიაში“ გაიმართა ჩინური ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება. უნივერსიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კოლეჯ „იბერიაში“ ფუნქციონირებს „კონფუცის კლასი“, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს ჩინური ენისა და კულტურის შესწავლის შესაძლებლობას სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ კონფუცის კლასი აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო სივრცეშიც. 2025 წლის დეკემბერში, კონფუცის კლასის ინიციატივით და მხარდაჭერით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის სახელმძღვანელოები შეიძინეს.

კონფუცის კლასის პარალელურად, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის წარმომადგენლები თანამშრომლობენ ჩინეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2024 წლის ნოემბერში, უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი, თორნიკე ბაძგარაძე დაესწრო ჩინეთის ქალაქ სიანში გამართულ საერთაშორისო კონგრესს, „ჰოლისტიკური ინტეგრაციული ონკოლოგია.“

2025 წლის მაისში, ჩინეთში ვიზიტი გამართა უნივერსიტეტის რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ. თუთბერიძე დაესწრო ჩინეთის ქ. ურუმჩიში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას, „თანამშრომლობა და ინტეგრაცია - წარმოება, განათლება და სამეცნიერო ტექნოლოგიები." კონფერენციის პლენარულ სხდომაზე რექტორმა წარადგინა მოხსენება: „ინდუსტრიის, განათლების, კვლევისა და გამოყენების ინტეგრაცია ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში."



ჩინეთში აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დელეგაცია ასევე ეწვია სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტს. შეხვედრის დროს, მხარეებმა უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, გაცვლითი პროგრამების განხორციელება და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საყურადღებოა, რომ 2025 წლის ამონაწერის მიხედვით, შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პრეზიდენტი ლაშა კანდელაკიშვილია, ხოლო უნივერსიტეტის წილების 100 %-ის მფლობელია შპს ევროპის უნივერსიტეტი. თავის მხრივ, შპს ევროპის უნივერსიტეტის პრეზიდენტი და მესაკუთრეც ლაშა კანდელაკიშვილია.

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მესაკუთრე ევროპის უნივერსიტეტიც თანამშრომლობს სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან. კერძოდ, 2024 წლის ივნისში, ევროპის უნივერსიტეტს ჩინეთის სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია. შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს, მათ შორის, აკადემიური გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და პერსონალის გადამზადება.

ალტე უნივერსიტეტი

ალტე უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი, ოფიციალურ „ფეისბუქ" გვერდზე, აქტიურად აქვეყნებს ინფორმაციას ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებებისა და კონკურსების შესახებ. 2025 წლის აპრილში, ინსტიტუტში გაიმართა ჩინური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჩაის კულტურის და კალიგრაფიის კულტურის ღონისძიებები.

2025 წელს, კონფუცის ინსტიტუტმა, ჩინეთის საერთაშორისო განათლების ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ვიდეო-კონკურსში - „2025 CI Moments Global Short Video Collection Event" მთავარი პრიზი მოიპოვა, ნამუშევრით - „Tea and Chinese Characters Across Mountains and Seas."

კონფუცის ინსტიტუტის გარდა, ალტე უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ ჩინეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. 2024 წლის ივნისში, უნივერსიტეტის კვლევების მხარდაჭერისა და პროექტების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ანი გვეტაძემ, ჩინეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება თემაზე: „სოციალური მუშაობა ეთნიკური უმცირესობების პერსპექტივიდან.“ ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, გვეტაძემ ალტე უნივერსიტეტის პარტნიორ ლანჯოუს უნივერსიტეტში ასევე წაიკითხა ლექცია თემაზე: „კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური ინტეგრაცია.“

გარდა ამისა, 2024 წლის 15 ოქტომბერს, ალტე უნივერსიტეტსა და ჩინეთის სიას (SIAS) უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს, სწავლების მეთოდოლოგიის გაზიარებას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას, კონფერენციების, სემინარების, საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზებას, აგრეთვე მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა 2025 წელს აქტიურად დაიწყო ოფიციალური თანამშრომლობა ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. თანამშრომლობის განვითარების მიზნით, 2025 წლის ივნისში უნივერსიტეტის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა ჩინეთში. ვიზიტის ფარგლებში, თსსუ-ს წარმომადგენლებმა მოინახულეს ადგილობრივი კლინიკები და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

უნივერსიტეტის რექტორის, ირაკლი ნატროშვილის განცხადებით, ვიზიტის დროს თსსუ-სა და ჩინეთის ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ. თანამშრომლობის ფარგლებში, ჩინეთის მხარის დაფინანსებით, ყოველწლიურად თსსუ-ს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის 20 სტუდენტი გაივლის სტაჟირებას ქალაქ გუანჯოუს ჩინური მედიცინის უნივერსიტეტში. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა, რომ 20 ივლისიდან 30 აგვისტომდე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი სენჯენის საუნივერსიტეტო კლინიკაში სპეციალურ ტრენინგ პროგრამაში მიიღებდა მონაწილეობას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, ჩინეთიდან უნივერსიტეტის მიმდინარე საერთაშორისო პარტნიორები არიან ლანჭოუს უნივერსიტეტი (21.07.2023) და ჰონგ-კონგის ჩუ ჰაის კოლეჯი (17.09.2024). უნივერსიტეტს ორივე დაწესებულებასთან გაფორმებული აქვს ხუთწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმები.

2024-2025 წლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ორმხრივი ურთიერთობების აქტიურ ფაზაში იმყოფებოდა. ამ პროცესის ფარგლებში გაიმართა არაერთი ოფიციალური შეხვედრა როგორც საქართველოში, ისე ჩინეთში.

2024 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, დავით გურგენიძემ ჩინეთის თიენძინის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრაზე მხარეებმა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელების პერსპექტივები განიხილეს. რექტორის განცხადებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ჩინეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

ჩინეთის კვლევების სამეცნიერო ინსტიტუტი, 2019 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა, ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში. ინსტიტუტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მის ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე. ინსტიტუტის დირექტორია ჯემალ ფუტკარაძე.

ჩინეთის ყოფილი ელჩი, ლი იენი, 2021 წელს ერთ-ერთ წერილში მას მოიხსენიებს, როგორც „ჩინეთის დიდი ხნის მეგობარსა“ და „ჩინურ-ქართული თანამშრომლობის მონაწილეს“ (იხ. ფოტო).

(არაოფიციალური თარგმანი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჩინეთის კვლევების ინსტიტუტის დირექტორს,
ბ-ნ ჯემალ ფუტკარაძეს

ბატონო ჯემალ,

მადლობას გიხდით ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რომელშიც საქართველოში ჩინეთის საელჩოს ორგანიზებით მიგიღია მონაწილეობა. ვფიქრობ, მადლობას ვიხდი ორივე მხარეს, ჩინეთისა და საქართველოს, ჩინეთის ელჩის ფეიზ ჰონგ-ლეის ინიციატივა

2024 წლის 17 სექტემბერს, სტუ-ს წარმომადგენლებმა ჰონგ კონგის ჩუ ჰაის კოლეჯის პროფესორებს უმასპინძლეს, სადაც მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ვიცე-რექტორის, თამარ ლომინაძის თქმით, მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივ სასწავლო აქტივობებს, კვლევით ინიციატივებს, ორმხრივ ვიზიტებსა და გაცვლით პროგრამებს.

2024 წლის 8 ოქტომბერს, სტუ-ს ეწვია ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია. უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის განცხადებით, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება იგეგმებოდა.

სტუ-სა და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2024 წლის სექტემბერში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერი კარლო კოპალიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის სიჩუანის პროვინციაში. ვიზიტის ფარგლებში მან შეხვედრები გამართა სიჩუანის პროვინციის სამ უმაღლეს სასწავლებელში: მეცნიერებისა და ინჟინერიის უნივერსიტეტში (ქ. ზიგონგი), სამხრეთ-დასავლეთის ნავთობის უნივერსიტეტში (ქ. ჩენდუ) და სამხრეთ-დასავლეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (ქ. მიანიანგი). შეხვედრებზე განხილულ იქნა სამეცნიერო-აკადემიური თანამშრომლობისა და პარტნიორობის განვითარების საკითხები.

სიჩუანის მეცნიერებისა და ინჟინერინგის უნივერსიტეტში ვიზიტისას, კანცლერმა ისაუბრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტის დაფუძნების პროცესებზე. მისი განცხადებით, სტუ-ში კონფუცის ინსტიტუტი სიჩუანის მეცნიერებისა და ინჟინერინგის უნივერსიტეტთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე დაარსდება და კონფუცის ინსტიტუტი ხელს შეუწყობს როგორც აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებას, ისე საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების განვითარებას.

ვიზიტის ფარგლებში, სამხრეთ-დასავლეთის ნავთობის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განხილულ იქნა სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის მობილობის პროგრამების განხორციელების შესაძლებლობები. ხოლო, სამხრეთ-დასავლეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეხვედრაზე, მხარეებმა ერთობლივი და გაცვლითი პროექტების ამოქმედების პერსპექტივები განიხილეს.

2025 წლის სექტემბერში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციამ სამუშაო ვიზიტი განახორციელა ჩინეთის ქალაქებში დუნხუანსა და ლანჯოუში. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში.

მოგვიანებით, ქ. ლანჯოუში, ლანჯოუს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან გამართულ შეხვედრაზე გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს პრეზიდენტის განცხადებით, ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებს აკადემიური/კვლევითი პერსონალის გაცვლას, მობილობის და სასტიპენდიო პროგრამების განვითარებას, ერთობლივ კვლევით პროექტებს, უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტის დაფუძნებას, ასევე ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივი ინიციატივით, დაარსდა „ჩინეთსა და საქართველოს შორის ცივილიზაციათა დიალოგისა და თანამშრომლობის კვლევითი ცენტრი.“ უნივერსიტეტის ინფორმაციით, ცენტრი, როგორც ინტერდისციპლინარული პლატფორმა, ხელს შეუწყობს „მეცნიერებაზე დაფუძნებულ დიპლომატიასა“ და „საგანმანათლებლო დიალოგის“ განვითარებას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევის პერიოდში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა ერთ-ერთ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მიმართაც ჩინეთის საელჩო განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. 2024 წლის 22 ივლისს უნივერსიტეტს ეწვია საქართველოში ჩინეთის ელჩი, ჭოუ ციენი. ვიზიტის ფარგლებში, ელჩის პატივსაცემად, უნივერსიტეტის სტუდენტურმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა გამართა კონცერტი. ჭოუ ციენსა და უნივერსიტეტის რექტორს, ზურაბ ხონელიძეს შორის გამართულ შეხვედრაზე, ელჩმა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ასევე, შეხვედრაზე სოხუმის უნივერსიტეტსა და ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები განიხილეს.

2024 წლის 6 ნოემბერს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები, მათ შორის სამშვიდობო განათლების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან გერაძე და სინძიანის უნივერსიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი ბადრი ნაჭყებია, ჩინეთის ელჩის მოწვევით, საელჩოში იმყოფებოდნენ. შეხვედრაზე განხილულ იქნა ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები აკადემიურ სფეროში.

ამავე წლის 29 ნოემბერს, სოხუმის უნივერსიტეტისა და ჩინეთის საელჩოს ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა სემინარი - „მსოფლიოს საერთო მომავლის საზოგადოების მშენებლობისა და ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობა.“ სემინარი გახსნეს ჩინეთის ელჩმა, ჭოუ ციენმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე ხვთისიაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა, ზურაბ ხონელიძემ. მისასალმებელ სიტყვაში, ხონელიძემ აღნიშნა:

“განსაკუთრებული პატივისცემა თქვენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ბატონ ჭოუ ციენს. თქვენი მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოსა და ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ ნათლად ჩანს იმ ურთიერთობებში, რომელიც უკვე ჩამოგვიყალიბდა...“

კვლევის პერიოდში, სოხუმის უნივერსიტეტსა და ჰუნანის საერთაშორისო ბიზნესის პროფესიულ კოლეჯს შორის ჩამოყალიბდა ორმხრივი თანამშრომლობა. კერძოდ, 2024 წლის 28 სექტემბერს, აღნიშნულ დაწესებულებებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი კვლევების განხორციელებას, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლას და სასწავლო პროგრამებისა და კურსების განვითარებას.

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (GIU)

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (GIU) არის პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომლის მფლობელიც ჩინეთის მოქალაქეა. კერძოდ, 2025 წლის ამონაწერის მიხედვით, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის (GIU) რექტორი და ხელმძღვანელია ელისო ელისაშვილი, ხოლო უნივერსიტეტის 100 %-იანი წილის მფლობელია შპს „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტი“. აღნიშნული კომპანიის მესაკუთრეა ჩინეთის მოქალაქე ქანგ ჭენგი, რომელიც 1999 წლიდან ხელმძღვანელობს ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფს (China International Education Group). ამ ჯგუფის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩინეთსა და საერთაშორისო უნივერსიტეტებს შორის საგანმანათლებლო და აკადემიური კავშირების გაღრმავება.

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფთან. 2024 წლის ნოემბერში, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, გრიგოლ კალანდაძემ, მონაწილეობა მიიღო ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც გუანჯოუს საერთაშორისო ეკონომიკური კოლეჯის 25 წლის იუბილეს მიეძღვნა.

უნივერსიტეტის რექტორი, ელისო ელისაშვილი, აქტიურად არის ჩართული GIU-სა და ჩინურ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში. 2025 წლის ივნისში, ჩინეთში

ვიზიტის ფარგლებში, იგი დაესწრო ქ. ტუნხუანგში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას - „მეოთხე დიალოგი ცივილიზაციებს შორის ურთიერთგაცვლისა და ურთიერთსწავლების შესახებ“ და მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში თემაზე: „გლობალური დიალოგი ცივილიზაციის მემკვიდრეობასა და ციფრული აბრეშუმის გზაზე.“

GIU-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ჩინეთის უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებულ გაცვლით პროგრამებსა და სასტიპენდიო კონკურსებში. 2024 წლის 13 ნოემბერს, უნივერსიტეტს ჰონგ-კონგის თუნგ ვას კოლეჯის დელეგაცია ეწვია, სადაც მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები საგანმანათლებლო, კვლევით და კულტურულ მიმართულებებში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის მესაკუთრე, ქანგ ჭენგი GIU-სა და თუნგ ვას კოლეჯის სტუდენტებისთვის სტიპენდიების გამოყოფას უზრუნველყოფდა.

GIU-სა და კოლეჯს შორის მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, 2024 წლის ოქტომბერში, ასევე 2025 წლის თებერვალსა და აპრილში, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამოაცხადა მობილობის პროგრამა ჰონგ-კონგის თუნგ ვას კოლეჯში. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს. გამარჯვებულები მიიღებდნენ თუნგ ვას კოლეჯის სტიპენდიას 20 000 ჰონგკონგური დოლარის (დაახლოებით 2557 აშშ დოლარი) ოდენობით და თავისუფლდებოდნენ სწავლის გადასახადისგან.

2025 წლის 30 აპრილს, GIU-მ ასევე გამოაცხადა მობილობის პროგრამა ჩინეთის „სიას“ საერთაშორისო უნივერსიტეტში, ჩინური ენის ერთწლიან სასწავლო პროგრამაზე. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს. მობილობის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები თავისუფლდებოდნენ სწავლის გადასახადისგან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის გამარჯვებული გახდა GIU-ს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომელმაც სრული დაფინანსებით გააგრძელა სწავლა „სიას საერთაშორისო უნივერსიტეტში“. GIU-ს ინფორმაციით, 2026 წლიდან ამ პროგრამით ჩინეთში სწავლის გაგრძელებას GIU-ს კიდევ 10 სტუდენტი შეძლებს.

კვლევის პერიოდში, GIU-მ ასევე აქტიურად განავითარა თანამშრომლობა ჩინეთთან დაკავშირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან:

2025 წლის 19 თებერვალს, GIU-სა და ჩინეთის Zhongge Cultural Development (Yiwu)-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებასა და სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობას.

Forbes

ШІАОЖУНЗ Ю, ІДІВІЗ САНДРО БЕРІДЗЕ, 22 ЖЕЛІА, ОРГ САМЗАРОС АЖАВШІРЕБЕ.

Ჩინეთიდან საქართველოში წელიწადში 1000-ზე მეტ კონტეინერს, აგრეთვე სტუდენტებსა და ტურისტებს გზავნის. ამავდროულად ქართული ღვინის 200-მდე სახლს ამარაგებს, რომლებიც მან ჩინეთში დააფუძნა.

ჩინური წყაროების მიხედვით, Zhogge Cultural Development (Yiwu) დააფუძნა ჩინეთში მცხოვრებმა ბიზნესმენმა, ისიაო ძუნმა (Yi Xiaojun), (ასევე ცნობილი, როგორც სანდრო ბერიძე), რომელსაც მოიხსენიებენ როგორც „ქართული კულტურის პოპულარიზაციის ელჩს.“ Zhogge Cultural Development მიზანია ჩინური კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლებას საქართველოში და ქართული ღვინის კულტურის გავრცელებას ჩინეთში. კომპანია თანამშრომლობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და სხვა ორგანიზაციებთან.

2025 წლის 1 აპრილს, GIU-სა და სარტყლისა და გზის საქართველოს ბიზნეს სახლს [4]შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, საგანმანათლებლო პროექტების განვითარებას, ასევე სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობას ჩინეთში. უნივერსიტეტის ინფორმაციით, სტაჟირების პროგრამაში შერჩეული სტუდენტების ავიაბილეთისა და საცხოვრებლის ხარჯებს აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს.

2025 წლის 15 მაისს გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტს, შენჭენის უნივერსიტეტის „სარტყელი და გზის კვლევით ინსტიტუტსა“ და ქ. შენჭენის „სარტყელი და გზის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ინსტიტუტს“ შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ერთობლივი კვლევითი პროექტები, აკადემიური გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო კონფერენციებისა და ფორუმების ორგანიზება, ერთობლივი პუბლიკაციები, ეკონომიკური განვითარების თემატიკაზე სემინარების ჩატარება, გრანტებისათვის ერთობლივი განაცხადების მომზადება, ასევე სტაჟირებისა და სასწავლო შესაძლებლობების განვითარება.

2025 წლის 15 ოქტომბერს, GIU-სა და ჩინეთის ელექტრონული კომერციის კომპანიას - Guagzhou Dajiang E-Commerce Co Ltd-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც GIU-ს ბიზნესის ადმინისტრირებისა და სინოლოგიის პროგრამების სტუდენტებისთვის ჩინეთში, აღნიშნულ კომპანიაში სტაჟირების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

საყურადღებოა, რომ საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი თავად აორგანიზებს გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებს როგორც ქართველი, ისე ჩინელი სტუდენტებისთვის:

2025 წლის აგვისტოში, GIU-ს ორგანიზებით, ჩინეთში, „პეკინის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტში“ ქართველი სტუდენტებისთვის საზაფხულო სკოლა მოეწყო. მონაწილე

4.„სარტყლისა და გზის საქართველოს ბიზნეს სახლი“, 2017 წლიდან, საჯარო რეესტრში რეგისტრი-რებულია, როგორც არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირი. მისი საქმიანობა მოიცავს იმპორტს, ექსპორტს, განათლებას, ტურიზმს, მედიას, უახლესი ტექნოლოგიების წარმოებასა და სხვა. ორგანიზაცია ფუნქციონირებს როგორც საქართველოში, ისე ჩინეთში. მისი ხელმძღვანელია საქართველოს მოქალაქე ბექარ მიქაბერიძე. მიქაბერიძე ასევე ჩინეთის კუანგტუნგის პროვინციაში მდებარე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელია.

სტუდენტებმა გაიარეს ენის კურსი, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კულტურულ და შემეცნებით მასტერკლასებში, მოინახულეს ჩინეთის ღირსშესანიშნაობები და ჩინური კულტურის ინტერაქციული მუზეუმი.

2025 წლის ნოემბერში, GIU-ს ეწვია გუანჯოუს საერთაშორისო ეკონომიკური კოლეჯის დელეგაცია და სტუდენტები. ვიზიტის ფარგლებში, ჩინელი სტუმრებისთვის გაიმართა კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა, მათ შორის მასტერკლასი ინგლისურ ენაში, პრაქტიკული ვორკშოპი GIU-ს კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში. სტუდენტებმა მოინახულეს თბილისის ღირსშესანიშნაობები და ასევე, იმყოფებოდნენ გორში, ყაზბეგსა და სიღნაღში. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო ტურები კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტსა და კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ში.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტი 2010 წლიდან ფუნქციონირებს. ინსტიტუტის პარტნიორი ჩინური დაწესებულება „ჭენგჭოუს“ უნივერსიტეტია. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი აქტიურად აქვეყნებს სიახლეებს სხვადასხვა პროგრამებისა და კონკურსების შესახებ ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე.

2024-2025 წლებში კონფუცის ინსტიტუტმა:

- 8 კონკურსი გამოაცხადა ბაკალავრიატის სტუდენტებისა და VII – XII კლასის მოსწავლეებისთვის. მათ შორის იყო ესეების კონკურსები თემებზე: “ჩინეთი-საინტერესო სამყარო”, “ჩემი თვალით დანახული ჩინეთი” და “ჩინური ენა - ჩემი წარმატების საწინდარი”.
- VII – XII კლასის მოსწავლეებისთვის 4-ჯერ გამოაცხადა ონლაინ ოლიმპიადა სახელწოდებით “რა ვიცით ჩინეთის შესახებ?”.
- სკოლის მოსწავლეებისთვის 3-ჯერ გამოაცხადა ხატვის კონკურსები თემატიკით: „ჩინეთი - საინტერესო სამყარო“ და „ჩინური ახალი წელი.“
- სკოლის მოსწავლეებისა და/ან სტუდენტებისთვის 4-ჯერ გამოაცხადა ვიდეოკონკურსი თემატიკით: „ჩინეთის კულტურა და მე“, „ჩინური სიმღერები“.
- სტუდენტებისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის ასევე აცხადებდა კონკურსებს შემდეგი მიმართულებებით: „ჩინური იეროგლიფების კონკურსი“, „ჩინურ ენაზე სიტყვით გამოსვლის ონლაინ კონკურსი“ და „ჩინური პოეზიის კონკურსი.“

2024 წლის ივლისში კონფუცის ინსტიტუტს ეწვია ჩინეთის განათლების სამინისტროს ენების სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრის დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იყო ჩინეთ-საქართველოს შორის საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოში ჩინური ენის სწავლების ხელშეწყობა. დელეგაცია ასევე ეწვია თავისუფალ სკოლას, სადაც ჩინური ენა მეორე უცხო ენად ისწავლება. სკოლის დირექტორმა, ამირან ამბროლაძემ, შეხვედრაზე აღნიშნა, რომ კონფუცის ინსტიტუტის დახმარებით, „თბილისის თავისუფალი სკოლის ჩინური ენის სწავლამ და სწავლებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.“ თავის მხრივ, ჩინეთის ენების სწავლებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელმა, ხუ ჭიფინგმა აღნიშნა, რომ „ჩინეთ-საქართველოს შორის საგანმანათლებლო და კულტურული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია.“ ჩინეთის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ასევე გაიმართა კონფუცის ინსტიტუტის ჩინური ენის საგამოცდო ცენტრის ოფიციალური გახსნის ცერემონია.

საქართველოში თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის საქმიანობისა და აქტივობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი დირექტორი, მარინე ჯიბლაძე. 2024 წლის 24 ივლისს, კონფუცის ინსტიტუტის ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია ჩინურ გაზეთ „ჟენმინ ჟიპაოში“ მარინე ჯიბლაძის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ, სახელწოდებით: „ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი სინოლოგიის კვლევის განვითარების ხელშეწყობაა.“ სტატიაში ჯიბლაძე აღნიშნავს:

„ჩინეთი ჩემი მეორე სამშობლოა და ჩემი ცხოვრება მის გარშემო ტრიალებს... ჩინეთში სწავლამ [...] შთამაგონა, რომ სინოლოგიის კვლევის განვითარების ხელშეწყობა ცხოვრების მიზნად მექცია.“

კონფუცის ინსტიტუტის დირექტორის, მარინე ჯიბლაძის განცხადება ნათლად წარმოაჩენს მის პროფესიულ და აკადემიურ ერთგულებას ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისადმი საქართველოში. იგი 2010 წლიდან ხელმძღვანელობს თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტს, რომელიც ქვეყანაში ჩინური ენისა და კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენს. მარინე ჯიბლაძე არის მაგალითი იმ ქართველი სინოლოგებისა, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ჩინური კულტურისა და ენის გავრცელებაზე. მათი საქმიანობა ფაქტობრივად წარმოადგენს საქართველოში ჩინეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. „ქართულ ოცნებასა“ და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის სტრატეგიული პარტნიორობა კი ქმნის ხელსაყრელ პოლიტიკურ კონტექსტს, რომლის პირობებშიც, საქართველოში ჩინეთის გავლენა და პრო-ჩინური ნარატივების გავრცელება კიდევ უფრო ინტენსიურ და სისტემურ ხასიათს იძენს.

2024-2025 წლებში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამმა კურსდამთავრებულმა გააგრძელა სწავლა ჩინეთის უნივერსიტეტებში. კერძოდ, სტუდენტების რჩეული მიმართულებები გახდა „ჭეძიანგის უნივერსიტეტის“ ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა, „ჭეძიანგის უნივერსიტეტის“ ჩინური ენისა და კულტურის პროგრამა და ჰანჭოუს უნივერსიტეტის (Hangzhou Normal University) საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა.

საქართველოს სხვა უნივერსიტეტების კავშირები ჩინეთთან

საქართველოს რიგ უნივერსიტეტებს ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სისტემური და ინტენსიური ურთიერთობები არ აკავშირებთ. მიუხედავად ამისა, ისინი ჩინეთის უნივერსიტეტებთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობენ:

1.სტიპენდიები და გაცვლითი პროგრამები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

2025 წლის პირველ მაისს, უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ჩინეთის მწვანე ეკონომიკა და ტექნოლოგიები 21-ე საუკუნეში", რომელსაც სინოლოგი ალექსანდრა ლატარია უძღვებოდა. ლექციის დასასრულს, სტუდენტებს გააცნეს ჩინეთის გაცვლითი პროგრამებისა და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციები. კერძოდ: ჩინეთის მთავრობის სტიპენდიების, კონფუცის ინსტიტუტის სტიპენდიების, პროვინციების და მუნიციპალური სტიპენდიების, უნივერსიტეტების შიდა სტიპენდიების და „სარტყელი და გზა" ინიციატივის ფარგლებში შეთავაზებული დაფინანსების შესახებ.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

2025 წლის 12 თებერვალს, აკადემიას ეწვია პეკინის აკადემიის Central Academy of Fine Arts CAFA დელეგაცია. შეხვედრაზე მხარეები უნივერსიტეტებს შორის გაცვლითი თანამშრომლობის განვითარებაზე შეთანხმდნენ.

აკაკი-წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წელს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო არაერთი სასტიპენდიო პროგრამა:

- ჰონგ კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობის მიერ დაფინანსებული "ერთი-სარტყელი და ერთი გზის სტიპენდია", რომელიც 2024-2025 სასწავლო წლის დაფინანსებას მოიცავდა და განკუთვნილი იყო როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის;

- ჩინეთის მთავრობის სასტიპენდიო კონკურსი Youth of Excellence Scheme of China Program Chinese Government Scholarship, რომელიც 2025-2026 სასწავლო წლისთვის გამოცხადდა და გათვლილი იყო სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებზე.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო ჩინეთის მიერ დაფინანსებული სასტიპენდიო პროგრამები, მათ შორის:

- ჩინეთის სასტიპენდიო საბჭოს მიერ 2025-2026 წლის აკადემიური წლისთვის გამოცხადებული სასტიპენდიო კონკურსი Youth of Excellence Scheme of China Program Chinese Government Scholarship, რომელიც განკუთვნილი იყო სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის;

- ჩინეთის მთავრობის სტიპენდია, Youth of Excellence Scheme, რომელშიც მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ სახელმწიფო მოხელეებს, დაწესებულების უფროს მენეჯერებს, უნივერსიტეტის ან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის ან სტაჟირების გამოცდილების მქონე პირებს.

2. საზაფხულო სკოლები და ბანაკები

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

უნივერსიტეტსა და ჩინეთის „სიას“ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წლის ივნისში, ასევე 2025 წლის თებერვალსა და 15 ივლისს, ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია „სიას უნივერსიტეტის“ საზაფხულო ბანაკის შესახებ. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს. მონაწილეობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ინგლისური ან ჩინური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2025 წლის ივლისში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ჩინეთის „სიას უნივერსიტეტის“ მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობის შესაძლებლობა. ბანაკი გაიმართა 26 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით და მოიცავდა ლიდერობის საკითხებზე ტრენინგებს, კულტურულ აქტივობებს, ჩინეთის შესახებ ლექციებსა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს.

3. თანამშრომლობის მემორანდუმები და შეთანხმებები

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წლის სექტემბერში უნივერსიტეტსა და „ჰუნანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტს“ შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლას, საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და ერთობლივი კონფერენციების ჩატარებას.

2025 წლის 27 ნოემბერს, უნივერსიტეტსა და „ჰუბეის განათლების უნივერსიტეტს შორის“ გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: ერთობლივი კვლევითი პროექტების, ექსპედიციების, კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება; საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური მასალების გაცვლა; ერთობლივი

საზაფხულო სკოლების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელება; ასევე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2025 წლის ივნისში, უნივერსიტეტს სტუმრობდნენ ჩინეთის დალიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრაზე უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

4. აკადემიური კავშირები

2025 წლის სექტემბერში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ვახტანგ ჭარაია „ჰონგ-კონგის მეცნიერებათა აკადემიის“ (CORE) წევრად აირჩიეს. აღნიშნული აკადემია დაფუძნებულია ჰონგ-კონგის მთავრობის მიერ და ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ, არასამთავრობო, სამეცნიერო ორგანიზაციას.

დასკვნა

საქართველოში ჩინეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და ინსტიტუციურად გამყარებულ მიმართულებას საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროები წარმოადგენს. ამ პროცესში ცენტრალურ როლს ასრულებს კონფუცის ინსტიტუტების/კლასების ქსელი, რომელიც ქვეყანაში 2010 წლიდან ფუნქციონირებს და გასული ათწლეულის განმავლობაში აქტიურად უწყობდა ხელს ჩინური ენისა და კულტურის სისტემურ პოპულარიზაციას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

2023 წელს საქართველოსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადებამ საგანმანათლებლო თანამშრომლობა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანა. შეთანხმება მოიცავს სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის ფართო სპექტრს, მათ შორის გაცვლით პროგრამებს, ერთობლივ კვლევით პროექტებს, უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობას და ჩინური ენის სწავლების მხარდაჭერას. ამასთან, საგულისხმოა, რომ სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტში, საგანმანათლებლო თანამშრომლობის კომპონენტი მკაფიოდ ასახავს პეკინის პრიორიტეტებს, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ჩინური ენის სწავლების გაფართოებასა და კონფუცის ინსტიტუტების როლის გაძლიერებაზე, რაც შესაბამის ჩინურ ნარატიულ ჩარჩოებსაც ამყარებს.

სტრატეგიული პარტნიორობის პარალელურად, სინო-ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ურთიერთობების ინტენსიფიკაცია თვალსაჩინოა სამთავრობო დონეზე გაძლიერებულ დიპლომატიურ აქტივობებშიც. 2023 წლის შემდგომ პერიოდში გაიმართა არაერთი ორმხრივი შეხვედრა საქართველოსა და ჩინეთის ოფიციალ პირებს შორის, სადაც მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები. ამასთან, ორი ქვეყნის ოფიციალურ უწყებებს შორის გაფორმდა შეთანხმებები საქართველოში ჩინური ენის სწავლებისა და უმაღლესი განათლების ხარისხების ურთიერთაღიარების შესახებ, რაც დამატებით ინსტიტუციურ საფუძველს ქმნის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2024-2025 წლებში განათლების სექტორში სინო-ქართულმა თანამშრომლობამ ინტენსიური და მრავალგანზომილებიანი სახე მიიღო: მნიშვნელოვნად გაიზარდა გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების რაოდენობა; კონფუცის ინსტიტუტების საქმიანობამ გაფართოებული მასშტაბი შეიძინა და მოიცვა არა მხოლოდ უმაღლესი, არამედ სასკოლო განათლების სივრცეც. ამავდროულად, საქართველოს უნივერსიტეტებმა თანამშრომლობა დაიწყეს ჩინურ კომპანიებთან, რის შედეგადაც ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ ჩინეთში სტაჟირების პროგრამებსა და მოკლევადიან სასწავლო კურსებში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ 2023 წლის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით აქტიური გახდა ჩინური კომპანია Huawei, რომელმაც რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა დაიწყო.

საყურადღებოა, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სექტორში ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციები მმართველი პარტიის მხარდაჭერით სარგებლობს. “ქართული ოცნების” ოფიციალური პირები ღიად და საჯაროდ გამოხატავენ ჩინეთთან პარტნიორობის გაძლიერების სურვილს, მათ შორის, საქართველოში ჩინური ენის სწავლების ხელშეწყობის მიმართულებით. 2025 წელს, განათლების მინისტრმა, გივი მიქანაძემ ხაზი გაუსვა “ქართული ოცნების” გრძელვადიან მიზანს, რომ საქართველოში ჩინური ენა პოპულარობით ინგლისურ ენას გაუტოლდეს. მსგავსი განცხადებები ცხადყოფს პოლიტიკურ დონეზე არსებულ მიდგომებს და ივანიშვილის პარტიის სტრატეგიულ ხედვას - დასავლურ ორბიტას ჩამოაშოროს როგორც საქართველოს სახელმწიფო, ისე მისი მოსახლეობა და ახალგაზრდობა.

ივანიშვლის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზოგადი განათლების რეფორმის ფონზე, ჩინეთთან საგანმანათლებლო კავშირების ინტენსიფიკაცია შემაშფოთებელ ტენდენციად იკვეთება. როგორც განათლების ექსპერტები აღნიშნავენ, “ქართული ოცნების” განათლების რეფორმა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს დასავლური საგანმანათლებლო სისტემისგან იზოლაციის რისკის წინაშე აყენებს. აღნიშნული რეფორმის მიზნების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ახალგაზრდებისთვის ამერიკულ და ევროპულ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება მთელ რიგ დაბრკოლებებთან იქნება დაკავშირებული. შესაბამისად, “ქართული ოცნების” ძალისხმევა გააძლიეროს ჩინეთთან საგანმანათლებლო თანამშრომლობა, არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში. იგი, არსებითად, საქართველოს საგანმანათლებლო სექტორის გეოპოლიტიკური რეორიენტაციის პროცესს ემსახურება. შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქართველი ახალგაზრდებისთვის საზღვარგარეთ განათლების მიღების ერთ-ერთ ძირითად ალტერნატივად შესაძლოა ჩამოყალიბდეს ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ხასიათდება შეზღუდული აკადემიური თავისუფლებითა და სასწავლო პროგრამებზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ძლიერი გავლენით.

დანართი #2: კვლევის მეთოდოლოგია

„სამოქალაქო იდეა“, როგორც კვლევითი-ანალიტიკური ორგანიზაცია, მრავალი წელია აქტიურად აკვირდება საქართველო-ჩინეთის ორმხრივ ურთიერთობებს, მათ შორის, საქართველოში ჩინეთის „რბილი ძალის“ ოპერაციებს. 2024 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, „სინო-ქართული სტრატეგიული პარტნიორობა: თანამშრომლობა განათლების სფეროში“, გავაანალიზეთ ჩინეთ-საქართველოს საგანმანათლებლო ურთიერთობების დინამიკა 2023 წლის 31 ივლისს სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადების შემდეგ 2024 წლის ივნისამდე პერიოდში. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია 2024 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში სინო-ქართულ საგანმანათლებლო-სამეცნიერო ურთიერთობებში გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები და სიახლეები.

ანგარიში ეფუძნება „სამაგიდო კვლევის“ მეთოდს. კერძოდ, კვლევის ფარგლებში დამუშავდა ქართული და უცხოენოვანი ღია წყაროები, მათ შორის, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, ასევე, ჩინეთისა და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციები. კვლევის პერიოდი მოიცავს 2024 წლის ივნის-დეკემბრის და 2025 წლის იანვარ-დეკემბრის თვეებს.

კვლევა მოიცავდა შემდეგი ქართული უნივერსიტეტების მონიტორინგს:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
5. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
8. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
11. ევროპის უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
12. ალტე უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
13. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი „GIU“ (კერძო უნივერსიტეტი)
14. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
15. კავკასიის უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
16. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
17. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
18. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
19. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
20. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
21. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
22. საქართველოს უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
23. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)

24. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (კერძო უნივერსიტეტი)
25. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
26. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
27. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (კერძო უნივერსიტეტი)
28. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
29. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)
30. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (კერძო უნივერსიტეტი)

კვლევის საგანს წარმოადგენდა ქართულ და ჩინურ უნივერსიტეტებს შორის დამყარებული ორმხრივი ურთიერთობები, საქართველოში კონფუცის ინსტიტუტების საქმიანობა, ჩინური ენის სწავლება და საქართველოში ჩინეთის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი საგანმანათლებლო ინიციატივები.

დანართი #3: თბილისის სკოლები, სადაც ჩინური ენა ისწავლება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2025 წლის 17 აპრილს გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: "ამ ეტაპზე ჩინური ენა 15 სკოლაში, დამატებითი მომსახურების სახით, ისწავლება."

წარმოგიდგენთ აღნიშნული სკოლების ჩამონათვალს:

კერძო სკოლა

შპს მწვანე სკოლა
შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
შპს ათასწლეულის სკოლა
შპს სკოლა ახალი თაობა

საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ თბილისის №208
სსიპ - ქალაქ თბილისის №161
სსიპ - ქალაქ თბილისის №65
სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163
სსიპ - ქალაქ თბილისის №61
სსიპ - ქალაქ თბილისის №105
სსიპ - ვახტანგ გზირიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №173
სსიპ - ქალაქ თბილისის №116
სსიპ - ქალაქ თბილისის №82
სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №220
სსიპ - ქალაქ თბილისის №217